F 9843

მწყემსი

№ 22

№ 22 1883—1906 წ. 30 ნოემბერი.

1883 წ. 1 ოქტომბერი—1906 წ. 1 ოქტომბერი

რედაქციის აღსარება.

ამა წლის პირველ ოქტომბერს შესრულდა სწორეთ ოცდა სამი წელიწადი, რაც ჩვენი ორგანო „მწყემსი“, თავის რუსული გამოცემით, არსებობს. იქნება ზოგიერთებმა 23 წლის ჟურნალის არსებობა და სამსახური არაფრად მიიჩნიოს, მერმე ისიც ჩვენში, მაგრამ ვისაც ბეჭდვითი საქმე არ ესმის, მწერლობა კიტრად არ მიიჩნია და ჟურნალ-გაზეთების არსებობა სრულებით არ აინტერესებს, რასაკვირველია, მისთვის ოცდა-სამი წლის არსებობა კი არა, ასი წლის არსებობაც კი არაფრად ჩასაგდებია.

ვერც დიდად განათლებულმა და ვერც მცირედ ნასწავლებმა, ვერც მდიდარმა და ვერც გავლენიანმა პირებმა ვერ იდვეს თავზე ჟურნალ-გაზეთის გამოცემა ჩვენს საქართველოში იმის შემდეგ, რაც მამა გ. ხელიძე იძულებული შეიქნა თავისი ჟურნალი—„საქართველოს სასულიერო მოამბე“ დაეხურა ორი წლის არსებობის შემდეგ. რამდენჯერ შეადგინეს გეგმა საქართველოს ექსარხოსებმა და სასულიერო წოდების პეტერბურღიდან მოსულმა ზოგიერთმა რევიზორებმა ოფიციალური ჟურნალის დაარსებისათვის საქართველოში, მაგრამ არ მოხერხდა ჟურნალის დაარსება.

1883 წელში განვიზრახეთ ორგანოს დაარსება და სექტემბრის თვეში დიდის მაცადინეობის შემდეგ ვიშოვეთ, როგორც იქმნა, ჟურნალის „მწყემსი“-ს გამოცემის ნებართვა. ყოველ კაცს თავისი პატარა ბავშობის დრო დიდის სიამოვნებით აგონდება ხოლმე. სწორეთ ჩვენც ასე სიამოვნებით მოგვაგონდება ხოლმე ჩვ ენი ორგანოს დაარსების პირველი წლები. რა სიხარულით, რა აღტაცებით ველოდით და ვმუშაობდით პირველი ნომრების გამოცემაზე!.. რამდენ ხანსაც უნდა გვემუშავნა, დაღალვას არა ვგრნობდით. რამდენი დრო უნდა გვეყურყუტნა სტამბის გაღებამდისინ, სადაც „მწყემსი“ იმეჭდებოდა! სტამბაში ხან ასოები შემოგვაკლდებოდა ხოლმე და ხან კიდევ რა, ვინ მოსთვლის, მაგრამ საქმე არ ბრკოლდებოდა. ნახევარი ჟურნალი თფილისში იბეჭდებოდა და ნახევარი ქუთაისში, მაგრამ ჟურნალი თავის დროზე მაინც ერთად გამოდიოდა...

1887 წელში მოვიდა ახალი ექსარხოსი პალადი. სამღვდელოება მიეგება თფილისში. პალადის ჭონდა წაკითხული რამდენიმე ნომერი რუსული განყოფილების „მწყეისი“-ს ორგანოსი და მოიკითხა რედაქტორი ჟურნალისა სამღვდელოების კრებაში. მოახსენეს, რომ „მწყემსი“-ს რედაქტორი აქ არის და ის ქართველი კაცი არ არისო! გაოცდა იგი.

—სადაურია? იკითხა ახალმა ექსარხოსმა.

—იმერელია, მიუგეს მას.

— მერე თქვენთვის სირცხვილი არ არის, რომ იქიდან იღებთ ჟურნალს და აქეთკენ არა გაქვსთ? ეცადეთ, უთუოდ დააარსეთ თქვენთვის ჟურნალიო.

—ვეცდებით ჟურნალის დაარსებას, მიუგეს, მაგრამ, სამწუხაროდ, დღესაც არ აუსრულებიათ თავის სიტყვა „უმაღლეს თფილისის წარჩინებულ“ სამღვდელოებას“!...

ოცდა-ათ ნოემბერს ექსარხოსის წირვას დავესწარით სემინარიის ეკლესიაში. აქ მნახა პირველად პალადიმ. მთხოვა საღამოს მივსულიყავი მასთან. საღამოს ვეახელი. ჩვენი ბაასი თორმეტ საათამდის გაგრძელდა. მან წინადადება მომცა დავთანხმებულიყავი „მწყემსი“ ეპარქიალურ ჟურნალად გადამეკეთებია, რედაქტორად სემინარიის რექტორი პაისი ყოფილიყო და თანაშემწეობა მე მეკისრნა და ამისთვის მშვენიერ ადგილს მპირდებოდა თფილიზში.

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე ვერ დავთანხმდი „მწყემსი“-ს ეპარქიალურ ჟურნალად გადაკეთებაზე და სემინარიის რექტორთან ამხანაგობაზე.

—რატომ არ გსურთ რექტორთან ერთად თანამშრომლობა? მკითხა ექსარხოსმა.

—იმისათვის არა მსურს, რომ ის ჩრდილოეთისკენ გაიწევა და მე სამხრეთისაკენ და ამ გაწევის დროს გავწყდებით, მიუგე მე.

—ნუ თუ არ აფასებთ თქვენ, რომ თფილისში კარგი ადგილი მოგეცემათ და კარგათ იცხოვრებთ, მითხრა ექსარხოსმა.

—მე აღთქმა მაქვს მიცემული ღვთისათვის, რომ სოფელი არ გავცვალო ქალაქზე, მოვახსენე მე.

—ალბად დიდი შემოსავალი გაქვთ ყვირილაში, ბრძანა ექსარხოსმა.

—შემოსავალი მცირეა, მაგრამ თავისუფლება დიდია და ამასთან ყვირილა ჩემთვის პლევნა არის. მომცემთ მე პირობას, რომ როცა თქვენ აქედან წაბრძანდებით მოკურცხვლა არ დამჭირდება უკანვე? არ შემიძლია ისე ვიცხოვრო, როგორც ქალაქის სამღვდელოება სცხოვრობს. ქალაქში მცხოვრები მღვდელი თასმასავით უნდა იგრიხებოდეს ყოველის მხრით. მე არ შემიძლია ესეთი ცხოვრება. პაისის თქვენ ვერ იცნობთ და როცა გაიგებთ მის ხასიათს, მაშინ სულ სხვას ბრძანებთ...

პალლადი სრულებით არ გავდა სხვა ექსარხოსებს. ბევრი კეთილი საქმე ჩაიდინა საქართველოში და ქართველებმაც ღირსეული პატივი სცეს მას. სხვა ექსარხოსები რომ მიწასთან ასწორებდნენ ქართველებს და მეტის-მეტად აბეზღებდენ მთავრობის წინაშე და ლანძღავდენ, პალლადიმ მათ წინაალმდეგ პირდაპირ ხელმწიფეს სახალხოდ მოახსენა: „საქართველო ძვირფასი ბრილიანტი არის თქვენს გვირგვინში და ყველაზედ უფრო პატივს გცემენო“. იგი საყოველთაოდ აცხადებდა ქართველი ხალხის ერთგულებას და ამბობდა, რომ მექრთამე ჩინოვნიკები უსაფუძვლოდ ლანძღვენ ქართველებსო. ამისათვის მას კიდეც გადაემტერენ და ბევრს ცუდ რამეს ფიქრობდენ თვით რუსები, მაგრამ ვერაფერი ვერ მოუხერხეს...

1890 წელში სემინარიის რექტორის ნიკოლოზის მონდომილებით დათანხმდა და სთხოვა სინოდს ნება დაერთო „სასულიერო საქართველოს საექსარხოსოს მოამბის“ გამოცემაზე, იმ პირობით, რომ გამოწერა მარტო შეძლებულ ეკლესიებისთვის დაევალებიათ და ღარიბი ეკლესიები სრულებით თავისუფალნი ყოფილიყვნენ ამ ჟურნალის გამოწერისაგან. სინოდმაც ნება დართო. რედაქტორად ამ ჟურნალისა დაინიშნა სემინარიის რექტორი არხიმანდრიტი ნიკოლოზი. ეს რედაქტორი და ჟურნალი შეიქმნენ პირველნი მტერნი „მწყემსი“-სა და არაფრით არ ზოგავდენ როგორც ჟურნალს, ისე მის რედაქტორს. მისთვის რომ „საქართველოს მოამბის რედაქტორს გავლენა ჰქონებოდა ბლაღოჩინებზე, მოხერხებით დანიშნეს სინოდალნი კანტორის წევრად. სინოდის უქაზის შინაარსი სასულიერო მოამბის გამოცემის შესახებ დამალეს და ყოველ ეკლესიას დაავალეს მისი გამოწერა. მუქთად მხოლოდ ათ ცალ ჟურნალზე ერთ ცალს „სასხმად“ უგზავნიდენ უფულოდ! ამ გამოცემის რედაქტორს ფულების შეგროვება ჰქონდა სახეში, თორემ შინაარსის შესახებ თავს არ იწუხებდა. შაგირდების სიები ოთხ კლასიან ქალების და ვაჟების სასწავლებლების და სემინარიებისა ბევრი ჰქონდათ ბ ჟურნალის ადგილი მოცელთილი იყო ამისთანა უბრალო მასალებით.

„მსყემსი“-ს და «საქართველოს მოამბის“ ჟურნალების პროგრამები ერთი ერთმანეთის წინაღმდეგი იყვნენ და ამისათვის ნამეტნავად მაცადინობდენ «საქართველოს საექსარხოსოს მოამბი»-ს რედაქტორები, რომ სრულებით მოესპოთ არსებობა „მწყემსი“-ს ჟურნალისა. „მწყემსი“ მაცადინობს შეატყობინოს ქვეყანას: რანი ვიყავით, რა ვართ დღეს და რა მოგველის შემდეგში. „საქართველოს საექსარხოსო მოამბე“ კი მას მაცადინობდა, რომ შეეტყობინებია ქვეყნისათვის არარაობა საქართველოსი რუსეთთან შეერთებამდის და დღევანდელი მისი „აყვავებული მდგომარეობა“ განსაკუთრებით სასულიერო წოდებისა, ექსარხოსების წყალობით. ბევრი ქართველი მიემხრო «სასულიერო საექსარხოსოს მოამბის» ჟურნალის რედაქტორებს და მათთან ერთად ალიჭურვენ „მწყემსი“-ს წინაალმდეგ. წარმოიდგინეთ ჩვენი გაკვირვება, რომ ქართული გაზეთებიც „ივერია“ და ზოგი რუსულიც ჩვენ წინაალმდეგ ალიჭურვენ. ანდაზად არის ნათქვამი: ჯერ არ დაბადებულიყო და აქებდენო. ჯერეთ „საქართველოს საექსარხოსო მოამბე“ არ გამოსულიყო, მაგრამ „ივერია“ და „ნოვოე ობოზრენიე“ აქებდენ და ადიდებდენ მომავალი ჟურნალის მოღვაწეობას! ჩვენ კი რასაც

ვამბობდით ამ ჟურნალზე, მართალი გამოდგა და კიდეც მოელო ბოლო. ანკი რა გასაკვირველი იყო ამ გაზეთების ახირებული მსჯელობა, როცა «ივერიის» სულის ჩამდგმელი იყო სომეხი ახნაზაროვი და «ნოვოე ობოზრენიეს» მართავდა რუსი და სომეხი!..

უკანასკნელ დროს ჩემ შესავიწროებლად და „მწყემსი“-ს მოსასპობად თვითონ ექსარხოსები ალიქურვენ და ითხოვეს მათ ნებაზე ყოფილიყო გამოცემათა ცენზორების დანიშვნა. როცა მიიღეს ნებართვა სინოდიდან, მაშინ აიღეს და ცენზორად დაუნიშნეს „მწყემსს“ რექტორები სემინარიისა—რედაქტორები „საექსარხოსოის მოამბისა“. ერთმა სემინარიის რექტორმა, ახლად დანიშნულმა ცენზორმა, იმდენი მოახერხა, რომ ერთ ღამეს ჟანდარმები დაგვასხა თავზე და ნახევარი დღე ალყა შემორტყმული ვიყავით სახლში. ეს რექტორი სემინარიისა ერთსა და იმავე დროს ჟანდარმერიის საიდუმლო აგენტობის თანამდებობასაც ასრულებდა თურმე!..

1885 წელს ოფიციალურ ორგანოდ გამოაცხადეს „მწყემსი“ თავის რუსული გამოცემით და წინადადება მიეცა ბლაღოჩინებს გამოეწერათ, მაგრამ ბლ.ღოჩინებმა ძლიერ ცოტა გამოიწერეს. „მწყემსი“-ს რედაქცია მუქთად უგზავნიდა ერთს-ორს ნომერს, რომ ყველას წაეკითხათ ჟურნალი. კანტორის უქაზი ეპისკოპოსმა გაბრიელმაც არ აასრულებინა სამღვდელოებას. მისწერა ბლაღოჩინებს, რომ ორ-სამ ეკლესიას გამოეწერა მარტო ერთი ეკზემპლიარი „მწყემსი“-სა რუსული დამატებით. როცა «სასულიერო საექსარხოსოის მოამბის» უშინაარსო ჟურნალი გამოდიოდა, ის სავალდებულოდ გამოუცხადეს ყოველ ეკლესიას, ყველამ მიიღო დიდის მოწიწებით. მღვდელთმთავრები თვითონ ურიცხავდენ მღვდლებს ჯამაგირებიდან ფულებს და ორი ათას მანეთობით უგზავნიდენ რედაქციას, მაგრამ ამ დროს ყოვლის შემძლებელი, გენერალ-დეკანოზი ვოსტორგოვი ბრძანდებოდა რედაქტორად და ვინ რამეს გაუბედავდა მას! ბოლოს გენერალ-დეკანოზი გაიპარა და რედაქციის ფულებიც უკანონოდ გაიყოლა. ჟურნალიც „საქართველოს საექსარხოსოის მოამბე“, მღვდელთათვის საუბედუროდ დაარსებული მოისპო... ბევრი იმეცადინა ექსარხოსის განკარგულებით დადგენილმა კომიტეტმა ჟურნალის გამოცოცხლებისათვის, მაგრამ გამობრუნება მაინც აღარ მოხერხდა და მეხუთე და მეექვსე ნომერზე სული განუტევა...

უმაღლესნი და წარჩინებულნი სამღვდელო და საერო პირნი თფილისის ქალაქისა შეიკრიბნენ და დაარსეს ორგანო „სიტყვა“-დ წოდებული. გვეგონა, რომ ეს ახალი ორგანო მაინც შეიქნებოდა სამღვდელოების ორგანოდ და თვალს აუხელდა საზოგადოებას, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ამასაც უბედურობა ეწია, გაიფიცა და ვგონებ გამოსვლას აღარ აპირებს!..

ამ ჟურნალის გამოუსვლელობის მიზეზი, რასაკვირველია, ჩვენი სამღვდელოება არის, მაგრამ მარტო იგი არა. მიზეზი ამ ჟურნალის შეჩერებისა არის კიდევ სხვაც ბევრი. დღევანდელ დროს არც ერთ ჟურნალს არ შეუძლია არსებობა. იაპონიასთან ომიანობამ ჟურნალებს განსაკუთრებითი დიდი ვნება მოუტანა და ლიტერატურასაც დიდი ზარალი მიაყენა. დღიური გაზეთების მკითხველები ერთი ხუთად გამრავლდა. ყოველი კაცი მოუთმენლად მოელოდა ტელეგრამებს ბრძოლის ველიდამ და ეხლა მოუთმენლოდ ხალხის მოძრაობის ამბებს. მსხვილ და წვრილ ჟურნალებს აღარავინ ყურადღებას არ აქცევს. აგერ ორი წელიწადი გადის და ერთი რიგიანი ბელეტრისტული ნაწარმოები არ დაბეჭდილა. მთელი საზოგადოება უბრალო ნაწყვეტი ამბებით და ხშირად ქარაფშუტა და ცრუ ტელეგრამებით ყმაყოფილდება. ბევრი ჟურნალები დაიხურა რუსეთში და ჩნენში ხომ აღარც ერთი სალიტერატურო ჟურნალი აღარ გამოდის... ჩვენ ქართველ სამღვდელოებას არ უნდა წაებაძა ერის კაცთათვის და სასულიერო ჟურნალის კითხვისათვის არ უნდა მიენებებია თავი, რადგან სასულიერო ჟურნალებში დაბეჭდილი სტატიები ყოველთვის იყო და არის მათთვის საჭირო და სასარგებლო.

გამრავლდნენ სხვა-დ-სხვა ნაირი მქადაგებელნი. ბევრს ადგილას მღვდლები ჩააჩუმეს, იმისათვის რომ თავისი უვიცობით პასუხი ვერავინ გასცა, რადგან ბევრმა მათგანმა თვითონ არა იცის რა და არც მეცადინობს თავიანთ განვითარებაზე. წარმოიდგინეთ, ეხლა დღიურ გაზეთებსაც ცუდი დრო დაუდგა ომიანობის მდგომარეობის გამოცხადების შემდეგ.

„მწყემსი“-ს ორგანოს მდგომარეობა კი სულ სხვა არის. ჩვენს ჟურნალს დასაწყისიდან ჰყავდა და ჰყავს საკმაო მკითხველები. ომიანობას და ხალხის მოძრაობას ხელის მომწერლების რიცხვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემცირება ბევრი არ შეეძლო. მაგრამ ამ ბოლო დროს სხვა დამბრკოლებელი მიზეზები აღმოუჩნდა. უკანასკნელი ორი სამი წელიწადი ჩვენი სამღვდელოება ნივთიერად შევიწროვდა. ჯერეთ წინეთაც გონებითი საზრდოსათვის უმეტესობა ჩვენი ხალხისა ბევრს არას იმეტებდა გონებითი საზრდოსათვის და ამ ბოლო დროს ბევრმა სრულიად მოსპო გამოწერა ჟურნალ-გაზეთებისა. უკანასკნელ დრამდის ბლაღოჩინები ხელს გვიწყობდენ სოფლებში ჟურნალ-გაზეთების გავრცელების საქმეში. ისინი იბარებდენ სოფლებში ჟურნალს და ურიგებდენ მსურველთ ჟურნალ.გაზეთებს, ფულსაც ისინი მიიღებდენ სამღვდელოთაგან და გვიგზავნიდენ. მაგრამ როგორც სამღვდელოების, ისე ბლაღოჩინების მდგომარეობა ძლიერ შეიცვალა. რაც ფულები ხელში ჩაუვარდათ ზოგიერთ ბლაღოჩინებს, იმათგან მათი ამოგება აღარას გზით არ მოხერხდა. ბლაღოჩინმა და დეკანოზმა ერმალოზ კანდელაკმა სამი წლის „მწყემსი“-ს გამოსაწერი ფულები თავის საბლაღოჩინო მღვდლებისა შეირჩინა და გროშს არ იძლევა. ბლაღოჩინმა ნ. კანდელაკმა 17 ეკზემპლიარის „მწყემსი“-ს ფულები შეირჩინა. ბლაღოჩინმა სერაფიონ ფანჯავიძემ ჩვიდმეტი ეკზემპლიარის ფულები 1905 წლისა არ წარმოადგინა. ბლაღოჩინმა მათე გორდეზიანმა თექვსმეტი ეკზემპლიარი „მწყემსი“-ს ფულები არ წარმოადგინა 1905 წლისა. ბლაღოჩ. იუსტინე მომფორიამ არ წარმოადგინა 1904 წლის ცამეტი ცალისა. ბლ. იასონ აბესაძემ ოცი ცალი „მწყემსი“-ს ფულები 1905 წ. არ წარმოადგინა და არიან კიდევ სხვებიც. არაფერს ვიტყოდით, რომ ამ ბლაღოჩინებს ფულები არ მიეღოსთ მღვდლებისაგან. ზოგიერთი მათგანი მღვდლებს ეუბნებოდენ, რომ „მწყემსი“ უკვე დაიხურაო! მღვდლებს გაუკვირდათ, რომ ბლაღოჩინებმა ისინი ასე უსირცხვოთ მოატყუილა და „მწყემსი“ კი გამოდიოდა... რა უნდა სთქვას კაცმა ამისთანა ბლაღოჩინებზე? რა „ბლაღოჩინობა“ შეუძლია ამისთანა პირებს თავის საბლაღოჩინო მღვდელთათვის? როგორ დაზოგავს იგი მათ, როცა დროს ნახავს? დიაღ, უბედური დრო არის საცოდავი მღვდლებისათვის, მაგრამ ვინ არის გამკითხველი!.. ავტოკეფალობას ითხოვენ და არჩევნობას კი სასტიკად სდევნიან!..

„მწყემსი“ უმთავრესად სასულიერო ორგანოა, მაგრამ ყოველ სასულიერო პირის უმსგავსო და უკანონო მოქმედებას სასტიკად ამხილებს ხოლმე და მართლაც ზოგიერთ სასულიერო პირთა საქმენი „საგმირონი“ არ დაუფარავს. ეს პირები, რასაკვირველია, მაცადინობენ, რომ სოფლებში არავინ შეიტყოს მათი უმგვანო საქციელი და ყოველ სამრცხვინო ღონეს ხმარობენ, რომ ხელი შეუშალონ ჩვენს ორგანოს.

ხსენებულ ბლაღოჩინებისაგან ჩვენ ვითხოვთ სახალხოდ პასუხი გაგვცენ: მიიღეს თუ არა მათ საბლაღოჩინო მღვდლებისაგან „მწყემსი“-ს ფულები? და თუ მიიღეს, რათ არ გზავნინან? ვსთხოვ თვითონ მღვდლებს ამ შემთხვევაში დაგვეხმარონ, რომ ხსენებულ ბლაღოჩინებს არ შერჩესთ ესეთი საქციელი... ყოველი პატიოსანი ბლაღოჩინი და მღვდელი ვალღებულნი არიან ეცადონ თვის შორის კუზიან მოძმეთა გასწორებას და ხმა აღიმაღლონ მათ წინააღმდეგ. თუ იგინი არ გასწორდებიან, მაშინ სულ გარისხონ თავის კრებულისგან. ამისთანა ღონის ხმარება დანარჩენ ბლაღოჩინებს და სამღვდელოებას აღამაღლებს ხალხის თვალში და პატივს მოუპოვებს სამწყსოთა შორის. მოწონება ჩვენ მოძმეთა ცუდი საქციელისა ჩვენვე გვამდაბლებს და ჩვენვე გვიკარგავს კეთილს სახელს სამწყსოთა შორის...

ყველა ზემო ნათქვამი მწარე ვამოცდილების შედეგია ამ 23 წლის განმავლობაში. როგორ უნდა მოვიქცეთ შემდეგში? აი კითხვა, რომელზედაც გვსურს მოგელაპარაკოთ, ძვირფასო მკითხველო, დღეს. ღმერთია მოწამე, რომ როცა ჩვენი ორგანოს დაარსება განვიზრახეთ, სახეში გვქონდა მხოლოდ შეძლებისა დაგვარად სამსახური გაგვეწია ეკკლესიისა, სამღვდელოებისა და სამწყსოთათვის. ცხადი იყო ჩვენთვის ყველა ის დაბრკოლებანი, რომელნიც წინ შეგვხდებოდა, მაგრამ არ შეუშინდით არც ერთ დაბრკოლებას და მართლაც ბევრი ამისთანა დაბრკოლებანი ესძლიეთ. ჩვენ არ გვეკონა თუ ათ-თუთხმეტ წელზე მეტს შევსძლებდით ამ მძიმე ტვირთის ზიდვას, მაგრამ ღვთის წყალობით აგერ 23 წელიწადი მიდის და ჩვენი ტვირთი ერთხელვე აღებული მიგვავქს იმავე სიყვარულობით და სიმხნით, როგორც ყოველთვის დღემდის. დათესილი თესლის ნაყოფით ხშირად მთესველი ვერ სარგებლობს. იქნება დრო, როცა შემდეგი თაობა დაეფასებს „მწყემსი“-ს სამსახურს და მის მუშაკთაც მოიხსენებს კეთილის სიტყვით...

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს საზოგადოდ დრო შეიცვალა, ამისათვის ჩვენი სამღვდელოება და საზოგადოებაც სრულებით შეცვლილია. ჩვენი ცხოვრება, სამწუხაროდ, ისეა დაყენებული, რომ უკან თუ იწევს, თორემ წინ არა. ზოგიერთები ამტკიცებენ, რომ ჩვენი ცხოვრება როგორც სასულიეროსი, ისე საეროსი წინ მიდისო, მაგრამ ჩვენთვის ეს ძლიერ საეჭვოა. სასულიერო წოდებაში წინ მსვლელობა არაფერს ეტყობა და საერო წოდებაშიაც, ვგონებთ, დიდი არა სჩანს-რა. თუ გაღატაკება შეადგენს საზოგადოების წინ მსვლელობას და ბედნიერებას, მაშინ ჩვენი საზოგადოება სწორეთ დაწინაურებულა! არასოდეს არ ყოფილა ისე დავალიანებული ჩვენი საზოგადოება, როგორც დღეს არის. გადაათვალიერეთ „კავკაზი“-ს გაზეთის განცხადებანი დაგირავებული მამულების გაყიდვაზე და თქვენ დარწმუნდებით, რომ ჩვენი ბრწყინვალე თავად-აზნაურობა მთლად დაგირავებული ყოფილა, ჯერეთ თავიანთ ბანკში და მერე სახელმწიფო ბანკებში, რომელ ბანკებზედაც ხმა იყო დაყრილი, რომ ფულებს ასესხებენ და თუ ვერავინ შესძლო გარდახდა, მამულს მაინც არ გაუყიდიან, უკანვე დაუბრუნებენო, რადგან ქართველები უყვარსთ და პატივს სცემენო!?.

სწორეთ ამისთანა გაჭირვების დროს არის საჭირო ერთად შეერთება, ერთად მოქმედება და ერთად მუშაობა. რა საშუალებით შეიძლება ეს, თუ არა ორგანოთი, ბეჭდვითი საშვალებით. ევროპაში დიდი ხანია შეიგნეს ჟურნალ-გაზეთების საჭიროება და აქვსთ კიდეც დაარსებული. დღეს ჩვენში მუშებმაც კი შეიგნეს ეს და დაარსეს თავიანთი ჟურნალ-გაზეთები, რომელთა ეკზემპლიარები ოთხი და ხუთი ათასობით იყიდება ყოველ დღე. შეიგნო ჩვენმა სოფლის სამღვდელოებამაც ეს საჭიროება და ამისათვის ორ გზის აღძრა კითხვა თავიანთ კრებაზე ქუთაისში, რომ ან „მწყემსი“ გაეხადათ სამღვდელოების ორგანოდ და ან სხვა ორგანო დაეარსებინათ. ამისთვის სოფლის სამღვდელოების წარმომადგენლებმა მიაშურეს უმეტესად ქალაქის სამღვდელოებას და აირჩიეს დიდი ნაწილი დეკანოზები და ქალაქის განათლებული მღვდლები. დაავალეს მათ მოგვლაპარაკებოდენ ჩვენ იმაზე, რომ დაგვეთმო სამღვდელოებისათვის ჩვენი ორგანო სტამბითურთ. „როცა ჩვენს სამღვდელოების ხელში და გამგეობაში იქნება ეს ორგანო, ამბობდენ რწმუნებულნი, მაშინ ისინი შეიძლებენ უკეთ გაუძღვენ ორგანოს, შეიძლებენ სხვა-და-სხვა ზნეობრივ და რელიგიურ საკითხავ წიგნაკების გამოცემას, შესძლებენ აგრეთვე ყოველ კვირეულად გამოსცენ „მწყემსი“. ჩვენ დღითი დღე ველოდით, რომ სამღვდელოების რწმუნებულნი აღასრულებდენ დეპუტატების კრების დავალებას. მაგრამ კრებისაგან აღრჩეულმა პირებმა, წარმოიდგინეთ, დაადგინეს რამდენიმე ხნის შემდეგ: „დღეს დღეობით საჭირო არ არის სამღვდელოებისათვის საკუთარი ორგანო იქონიოს“. რა უნდა უთხრათ სამღვდელოების რწმუნებულთა ამის შემდეგ? ვაშა მათ შორს გამჭვრეტელობას, ვაშა მათ მიმხვდურობას, თუ, ვაი მათ გონების დაბნელებას და ვუი მათ უვიცობას?.. ამისთანა დადგენილების შესახებ განმარტება საჭირო აღარ არის...

განა „მწყემსი“-ს რედაქციას არ აუსრულებია ყველა ის, რასაც რწმუნებულნი და ორგანოს შემდეგი გამგებელნი პირდებოდენ სამღვდელოებას? განა „მწყემსი“-ს რედაქციას არ გამოუცია ზნეობრივი და რელიგიური შინაარსის წიგნაკები? განა ბევრი არის დარჩენილი დღესასწაულები, რომ ყველა მათზე საუბრები, მოძღვრებები და დარიგებანი არ გამოეცეს „მწყემსი“-ს რედაქციას და არ დაერიგებინოს ხალხში ზოგი მუქთად და ზოგი სულ მცირე ფასად? განა დღესაც არ არიგებს ათასობით ჩვენი რედაქცია ზნეობრივ და რელიგიურ შინაარსის წიგნაკებს ხალხში მუქთად და სულ მცირე ფასად? მაგრამ რა? ბევრ ჩვენ მოძმეთაგანს თვალები აქვსთ და ვერ ხედვენ, ყურები აქვსთ და არ ესმისთ!..

ამას წინეთ სამღვდელოების კრებაზე როცა საკუთარი სამღვდელოების ორგანოს დაარსებაზე იყო კიდევ ბაასი, ზოგიერთმა მღვდლებმა წარმოსთქვეს ის აზრი, რომ ვაი თუ საკუთარი ორგანო ძვირად დაგვიჯდინოს რედაქციის მართველებმაო. ერთის მხრით ეს შიში უსაფუძვლო არ არის იმ დროს, როცა ყოველი კაცი იგლიჯება და საზოგადოების ფულებს უმოწყალოდ ხარჯვენ. ჩვენ ამ დროს მივეცით წინადადება სამღვდელოების კრებას, რომ შეგვედგინა ძმობა და ამ ძმობას წაეყვანა რედაქციის საქმე შეძლებისა დაგვარად და თვითეული წევრი ამ ძმობისა პასუხის მგებელი ყოფილიყო მხოლოდ ხელის მოსაწერი ფულით—სამი მანეთით. ბევრი გახდა თანახმა ამაზე და გამოგვიცხადეს, რომ იგინი ეცდებიან ხელის მომწერთა რიცხვი მოუპო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვონ ნედაქციას და „მწყემსი“-ს ჟურნალის რედაქციამ საქმე წაიყვანონ, როგორც მიყავდა დღემდისო.

უკანასკნელი ჩვენი აღსარებაც სწორეთ ამ მიზნით არის მომარული თქვენდამი, ჩვენო ძვირფასო მკითხველო! თქვენზეა დამოკიდებული: ისურვებთ თუ არა მიიღოთ მონაწილეობა „მწყემსი“-ს ჟურნალის ძმობაში. ყოველი წევრი ამა ძმობისა ვალდებული იქნება: 1) ჟურნალის ფასი წარმოადგინოს წინდაწინ; 2) ეცადოს ჟურნალის. გავრცელებას სამღვდელოებასა და ხალხში და 3) დაეხმაროს ძმობას ქრისტიანობრივ და რელიგიურ შინაარსის წიგნების გავრცელებაში. წევრების ვინაობა და ყოველივე ანგარიშები ჟურნალში იქნება მოყვანილი.

თვითვეული სამღალოჩინოდან ან ორი სამღალოჩინოდან უნდა იყოს ერთი სამღვდელო პირი რწმუნებული, რომელიც მიიღებს მონაწილეობას რედაქციის საქმეში ან პირის-პირ, ან წერილობით. იმედია ყველა ეპარქიის სამღვდელოებაში აღმოჩნდება საკმაო რიცხვი სამღვდელო პირთა, რომელნიც ხელს შეუწყობენ ამ ახალ ძმობას. ამასთანავე ვიწვევთ ყველას რედაქციაში, ვისაც სურს, თავისი სწავლით ამ გაჭირვებულ დროში დაეხმაროს თავიანთ მოძნეთა და სამწყსოთა. კეთილი რჩევა, ძმური დარიგება და სასარგებლო საშუალებანი დიდის სიამოვნებით იქნებიან მოსმენილნი და მიღებულნი.

თანა მოძმენო! კმარა ამდენი ძილი! დროა გამოღვიძებისა, თუ არ გვინდა, რომ უკან ჩამოვრჩეთ ყველას და შემდეგმა თაობამ წყევლა-კრულვით მოგვიხსენოს...

რედ. დეკ. დ. დამბაშიძე.

შიმშილობა რუსეთში.

თავადი გ. ლვოვი, თავმჯდომარე სრულიად რუსეთის საერობო ორგანისაციისა ზომიერის მიმართულებისაა პოლიტიკაში და უკიდურეს პარტიებისაგან ძალიან შორს დგას, მაგრამ ისიც კი აღშფოთებულია მთავრობის უჯერო მოქმედებით დამშეულ გლეხების დახმარების საქმეში. საზოგადოებრივი ინიციატივა, კერძო პირების ენერგია და საქმის სიყვარული მოსპეს დამშეულთა დახმარების საქმეში და ორმოცი მილიონი ცოცხალი ადამიანი გურკოს მზრუნველობას ჩააბარესო, ღრმა აღშფოთებით ამბობს თავადი ლვოვი.

მართლა საშინელებაა ოც-და-ცხრა დამშეულ გუბერნიის მდგომარეობა. ლვოვს თვითონ მოუვლია ნაწილი ამ უზარ-მაზარ რაიონისა, გზა-გზა გაჩერებულა, გამოუკითხავს, ყველაფერს თვის თვალით დაჰკვირვებია, და შემზარავს სურათს უხატავს საზოგადოებას.

„ვიყავი სამარის გუბერნიის უფრო გაჭირვებულ მაზრებში, აქედან ცხენით ყაზანამდე ვიარე და ჩემ ზნეობრივ ვალდებულებად მიმაჩნია ნანახი ვაუწყო საზოგადოებას. მდგომარეობა ჭეშმარიტად უსაშინელესია... ბუნებით უმდიდრესი მხარეა ვოლგის მხარე და დღეს ისე გრძნობ თავს, თითქოს ცხედრის წინ იდგე. ეკონომიურად კი არა, პირდაპირ ფიზიკურად კვდება ხალხი... სრული მოუსავლობაა. არც პური, არც საქონლის საკვები. ამ ათასის ვერსის მანძილზე მხოლოდ თერთმეტ სოფელში ვნახე აქა-იქ ძველი, დამპალი საკვები... ცხენი და სხვა საქონელი გაუყიდნიათ სულ მცირე ფასებში. არის იშვიათი სოფელი, სადაც ჯერ კიდევ დარჩენილა მესამედი ან მეხუთედი საქონლისა. ცხენის ტყავი შვიდი მანეთი ფასობს, ცოცხალში კი ექვს მანეთს იძლევიან: მანეთს დაკვლასა და გატყავებას ანგარიშობენ, ძროხა 3—4 მანეთი ფასობს, ცხვარი—მანეთ-ნახევარი...

საშინელმა მოუსავლობამ ყველა გაათანასწორა... ისეთი გლეხი, რომ სხვის დაუხმარებლად გასძლოს, მთელს ამ რაიონში ასზე სამიც არ იქნება. ეგრედ წოდებული საშუალო ოჯახი სრულ გაღატაკების კარზე სდგას და მხოლოდ იმით განმსხვავდება გამათხოვრებულ გლეხებისაგან, რომ სული კიდევ შერჩენია...

ბუგულმინისა და მენზელინის მაზრებში ყველანი რკო ნარევ, ან რკოს ფქვილის პურს სჭამენ. რკო ბლომად იყო და იაფიც, მაგრამ ეხლა ფუთში ცხრა შაურს იძლევიან და ვერ შოულობენ. რკოს პური საქონლის განავალს ჰგავს—მიწა ნარევს... სჭამენ დიდის ეკონომიით—დღეში ერთხელ. ბავშვებს რკოს ფქვილის ფაფას აპმევენ. ამ „მშიერ“ პურის წყალობით ყველა ქანც-გამოლეული და უღონოა. სადაც ეს „მშიერი“ პურია, იქ სახადიც არის, სურავნდიც და სხვა ავადმყოფობაც... და ჯერ კიდევ მხოლოდ ნოემბერია! ახალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსავლამდე მთელი შვიდი თვეა! წარმოიდგინეთ მთელი ეს საშინელება და მარტო ამ წარმოდგენით გულზე ცეცხლი მოგეკიდებათ...“

ასეთ აუტანელ, აუწერელ მდომარეობაშია უზარ-მაზარ რუსეთის მთელი მესამედი და ამ დროს შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი გურკო ლიდვალთან ერთად ღამშეულ ხალხისთვის დამშეულ ხალხისაგან აღებულს ფულს ქეიფსა და ლხინში ჰფლანგავენ. ცოტ-ცოტა პურს ჰგზავნის სამინისტროვო, ამბობს ლვოვი, მაგრამ მეტ წილად ისეთსა, რომ იძულებული ხდებიან უკანვე დააბრუნონ უვარგისობის გამოვო; მაგრამ რასაც იღებენ, იმის დარიგებაც მეტად გაძნელებული არის: არსად საწყობები გამართული არ არის და დამშეული გლეხი, თუ ეღირსა მოწყალების მიღებას, იძულებულია 75—100 ვერსი გაიაროს, რომ ორის დღის გამოსაკვები პური მიიღოსო.

სტოლიპინის სამინისტრომ უარჰყო საზოგადოებისა და კერძო პირის დახმარება ამ საშინელ უბედურებაში: ყველაფერი ჩემ ხელთ უნდა იყოს, მე გავაძღობ დამშეულებს, ჩემი მადლიერი იქმნებიან და მთავრობის მდგომარეობაც დამტკიცდებაო. მხოლოდ ერთი დაავიწყდა სამინისტროს — თავის თავის გახრწნილება და ეხლა, რასაკვირველია, იმას მომკის, რაც დაუთესია: საბოლოვოდ ძირს გაუთხრის „მშიერ“ პურის შემქნელ მთავრობას. („მეგ.“)

ჩვენ „სიტყვიერ ცხოვარს“ ბ ნ ი. გოგოლაურს.

(წერილი რედაქციის მიმართ)

„მეგობრის“ მე-29 ნომერში დასტამბული იყო მოკლე წერილი ი. გოგოლაურისა შემდეგის სათაურით: „ჩვენი სულიერი მამები“. ამ წერილს ავტორი უძღვნის „ავტოკეფალიის მებრძოლთ“. ეს პირველია ჩვენს პრესსაში, რომელიც მსჯავრს სდებს 12—15 ოქტომბერს მომხდარ ქართველ სამღვდელოების დელეგატთა კრებას ოთხ ეპისკოპოსის თავმჯდომარეობით. აღნიშნული კრება და იმისი დადგენილება უსათუოდ უნდა გამხდარიყო ჩვენი პრესსის და საზოგადოების სასაყურადღებო საგნად. ამა წლის 11 აგვისტოს თარიღით გამოვიდა უმაღლესი ბრძანება იმ შუამდგომლობისა გამო, რომელიც საქართველოს ექსარხოსად ყოფილის ნიკოლოზის საშუალებით აღძრეს ქართველმა ეპისკოპოსებმა, რომ საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობა მინიჭებოდა“ (?!). ამ ბრძანებაში ექსარხოსს ნიკონს ვალად ედგინება: „გამოეცხადოს დასახელებულ ეპისკოპოსებს, რომ საკითხი საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალობისა გადაეცა განსახილველად სრულიად რუსეთის მომავალ კრებას“. ეს ბრძანება გამოგვიცხადა ექსარხოსმა ნიკონმა ჩვენ და თქვენც, ბ-ნო გოგოლაურო. ჩვენ ავსწონ-დავსწონეთ საქმე და იმ დასკვნამდის მივედით, რომ დღევანდელ საქმის ვითარება მოითხოვს ჩვენგან კეთილ-გონიერ სითამამით ავიღოთ ის ხელთათმანი, რომელიც ერთხელ კიდევ გადმოგვიგდო სინოდმა. ჩვენ ეს პასუხი გავეცით: „ის პირნი, რომელნიც უნდა დაესწრნენ მომავალ სრულიად რუსეთის საეკკლესიო კრებას, აწინდელ საქართველოს ეპარქიების წარმომადგენლების სახით, აღჭურვილ იქმნას მათთვის მინდობილებებით დაქვრივებულ ივერიის ეკკლესიისაგან“. ეს პუნქტი ჩვენის კრების დადგენილებისა სამწუხაროდ, ვერ იყო სრულად გადათარგმნილი „მეგობრის“ ფურცლებზე. ამ პუნქტში ჩაქსოვილია ჩვენი ტაქტიკა რუსეთის მომავალ საეკკლესიო კრებაზე. ამის შემდეგ ცხადია სრული უსაფუძვლობა ი. გოგოლაურის მხილებისა: „შეიკრიბა ათიოდე მოძღვარი ეკკლესიის მეთაურებით ქ. თფილისში და მთელ საქართველოს ეკკლესიის სახელით, საქართველოს ეკკლესიის ბედი ჩააბარა რუსეთის საეკკლესიო კრებასაო“. ასეთი დასკვნა საიდგან გამოიყვანეთ, ბ-ნო გოგოლაურო?! *)

რუსეთის ეკკლესიას და მის კრებას საეკკლესიო კანონების ძალით, თუ არ ძალმომრეობით, არ ხელეწიფების თვის უფროსს დის, — ივერიის ეკკლესიის, — ძირითად უფლებების განხილვა — გადასინჯვა. თუ ასეთი შეუსაბამო როლი, ნებით თუ უნებლიეთ, წილად ჰხვდა მომავალ რუსეთის საეკკლესიო კრებას, იმ შემთხვევაში ჩვენის ეპარქიების წარმომადგენელნი ივერიის ეკკლესიის

---

*) მართალს ამბობს გოგოლაური. რვა დელეგატი იმერეთიდან არ ყოფილა, რადგან ეს კრება უკანონოდ მიაჩდათ.
რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სახელით მოაგონებენ მას ასეთ თვის უფლებათა გადამეტებას და ენერგიულ პროტესტს განუცხადებენ გაბატონებულ რუსეთის ეკლესიას. ასეთ აქტის შემდეგ თვით იმ დროინდელი გარემოებები გვიკარნახებენ, თუ რა ტაქტიკას უნდა მივმართოთ ჩვენი საკითხის სასურველ გადაწყვეტისათვის.

ბ-ნო გოგოლაურო, რატომ ასე შორიდან უდგებით ჩვენ საეკლესიო საკითხს? ჩვენ თუ „სულიერი მამები“ ვართ, თქვენ ხომ „სიტყვიერი ცხოვარი“ ხართ ეკლესიისა? და როგორც ასეთს, სრული უფლება გაქვთ ალახვნათ ბაგენი თქვენნი, ისარგებლოთ „მორწმუნეთა“ უფლებებით. თუ გინდ იმავ რუსეთის საეკლესიო კრებაზე, რომ ამ უკანასკნელმა არ გადასწყვიტოს „ბედი საქართველოს ეკლესიისა“. თქვენ ბრძანებთ: „მოუხარა ქედი (იგულისხმება ჩვენი კრება) გალაღებულ ბერს, უშენოდ ცხოვრება არ შეგვიძლიაო, უთხრა და უფრო გაათამამა. მერე როდის. იცი, მკითხველო?! როცა ეჭვი შეეპარათ (ვითომ?!). როცა ირყეოდა არსება. ჭკუიანი კაცია მ. ივანე, იცის ჩვენი სისუსტე და ძველი ანდაზა: „ციხე შიგნიდგან გატყდებაო“.—ამაზედ უნდა გადაჭრით მოგახსენოთ, ბ-ნო გოგოლაურო, რომ ჩვენ არავისთვის „ქედი არ მოგვიხრია“, არც არავის განზე გავდგომივართ იმ სახით, რა სახითაც ეს „გადგომა“ გატარებულ იქმნა პრესსაში და საზოგადოებაში. ამის დასამტკიცებლად საკმარისია ის რეზოლიუცია, რომელიც ქართველ სამღვდელოებამ გამოიტანა ნიკონის ჩამოსვლის ორიოდე დღის წინად; იმ რეზოლიუციაში ანგარიში გავუწიეთ „წარსულს“ „აწმყოს“ და „მომავალს“, „გადაჭრით თუ არა, ზედ მიწევნით მაინც“. ამიტომ ვთქვით და მოვიმოქმედეთ ის, რის ასრულებაც შესაძლო იყო და ავასრულეთ კიდეც. მით ჩვენი ტაქტიკა არ გათავებულა.

„ციხე შიგნიდან არა თუ არ გაგვიტეხნია“, არამედ ვფიქრობთ მის უფრო გასალკლდევებას, მტრისათვის მიუვალ ყოფად. (!!) ამისათვის ტაქტიკა მოითხოვს „მებრძოლთ“ სახეში ჰყავდეთ მოწინააღმდეგე, მისს ავან-ჩავანით, ამ შემთხვევაში თუ გინდ „გალაღებული ბერი“. ქარის წისქვილებს ხომ არ უნდა ვებრძოლოთ ბ-ნო გოგოლაურო?! ჩვენ ვფიქრობთ, ბ-ნო გოგოლაურო, რომ წაკითხული გექნებათ „ბერის“ „სიტყვა აღსვლასა ზედა საქართველოს კათედრაზე“. ამ «სიტყვებით», სხვა მარგალიტთა შორის, ამოიკითხავდით შემდეგ სტრიქონებსაც: „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის შესახებ ჩვენ ვალად გვაძევს დაწვრილებით და ყოველის მხრით შევისწავლოთ ეს საკითხი, რომ კრებაზე მიუდგომელად და სამართლიანად ამის გადაწყვეტას ხელი შეუწყოთ“. რამდენად ამ სტრიქონების ავტორი „ხელს შეუწყობს“ ჩვენის საკითხის „მიუდგომლად და სამართლიანად გადაწყვეტას“, აქ ჩვენ არ გამოუდგებით ამის ძიებას, ეს ისედაც ჩვენთვის ცხადია. ხოლო უნდა მივიღოთ მხედველობაში ის გარემოებაც, რომ ავტორი ზემოაღნიშნულ სტრიქონებისა არის უფლება-მოსილი ბიუროკრატიც, რომლისთვისაც დაუვალებიათ „დაწვრილებით და ყოველის მხრით შეისწავლოს“ ჩვენი ეკლესიის საკითხი და რომლის მოხსენებებს ანგარიშს გაუწევენ მომვლინებელნი. ამიტომ კეთილ გონიერება მოითხოვს ჩვენც ანგარიში გავუწიოთ „ბერს“: ნუ მივცემთ ადგილობრივ ჩვენ მტრებს საშუალებას, რომ მათ ცალმხრივი და ბოროტი მიმართულება მიაღებინონ განსაკუთრებულ მისსიით აღჭურვილ ადამიანს. რომ ამ მხრივ დიდ გავლენას ახდენენ ექსარხოს ნიკონზე ივერიის ეკლესიის ადგილობრივი მტერნი. მაშასადამე, ჩვენს ტაქტიკაში აუცილებელ საჭიროებათ შედის დარღვევა იმ ბადე-ქსელებისა, რომლებშიაც სურთ ჩვენი დაბანდვა მტრებს. ხოლო ასეთ საქმიანობისათვის „ბუტიაობა“ არა თუ არ გამოდგება, პირიქით, საქმის დამღუპველ-გამათახსირებელია. დროა მოწინააღმდეგეს პირისპირ დაუხვდეთ, გაუბათილოთ ჭორები თუ გინდ ისეთ დაწესებულების შესახებ, როგორც არის, მაგალითად, სანთლის ქარხანა, სასულიერო სასწავლებელი და სხვა ასეთი საზოგადო დაწესებულებები. სანამ ეს დაწესებულებები არ ამოშლილა და მათთან რაიმე კავშირი აქვს ჩვენ სამღვდელოებას, მანამ „ბუტიაობას“ ალაგი არა აქვს, ის ორგანიულად შეუძლებელია. ეს არ სურთ შეიგნონ მხოლოდ ბ-ნ გოგოლაურთ. ესენი გვეუბნებიან, ავიღოთ ეს ტვირთი, რომელსაც თვითონ თითსაც არ ახლებენ ხოლმე,—გვეუბნებიან ახლავე თავს დავიდგათ „ეკლის გვირგვინი“. როდესაც თვით საქმე მოითხოვს, როდესაც თვითეული მსხვერპლი სასურველ ზვარაკად შეეწირება ჩვენს საქმეს, მაშინ, დარწმუნებულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვართ, „ჩვენი სულიერი მამები“ არ დაერიდებიან „ეკლის გვირგვინსაც“.

„ეს ძველი დამყაყებული თაობა უნდა გადაშენდეს და იმის მაგიერ ახალი აღმოცენდეს. მაშინ დავიპყრობთ აღთქმულ ქვეყანას, მაშინ ალალი, შემრგო და საფუძვლიანი იქნება ავტოკეფალიაო“, გვეუბნება გოგოლაური. მაგრამ საიდან უნდა მოვევლინოს ქვეყანას განახლებული სამღვდელოება? ბრძოლაში გამობრძმედებულმა, ნაწრთობმა, თავისუფალმა ხალხმა თვითონ უნდა გამოჰყოს თავისგან, თითონ უნდა შვას მაღალ ზნეობის მასწავლებელი, ქრისტესავით მათთვის თავდადებული მოძღვარი, რომელიც იქნება სული სულთაგან მისისა და ხორცი ხორცთაგან მისისა“. თქვენს პირს თაფლი და შაქარი, ბ-ნო გოგოლაურო! ამას რაღა სჯობია?! მაგრამ ეს ხომ ფრთა-შესხმული იდეალია და, როგორც ასეთს, ჩვენი „ხალხის“ დიდ კულტურულ-ზნეობრივ განვითარების შემდეგ თუ შეგვიძლია მივუახლოვდეთ. მანამ კი ჩვენს პლანეტაზე, მისს რეალურ პირობებში. საჭიროა „ცხოვრება“, მასში ნიადაგის მომზადება ასეთ იდეალურ მწყემს-ცხოვართა განწყობილებისა. „ჩვენ“ ასეთ განწყობილებათა ნიადაგის მოსამზადებელად დავსახეთ ეკლესიის მსახურთა არჩევა თვით მორწმუნეთაგან. რომელთაც ისინი უნდა ემსახურებოდნენ პირდაპირ, კომპრომისების გარეშე. არჩევა ეკლესიის მსახურთა, არჩევა კეთილმოწესეებისა და მათთან საბჭოებისა, აი ეს პუნქტები გატარებულ იქმნენ ოქტომბრის კრების დადგენილებაში და თუ ეს ზომიერი მოთხოვნანი ექსარხოსმა თავის უფლებით არ დაგვიკმაყოფილა, ეს ჩვენ სრულიადაც არ გვაღონებს. ეს მოთხოვნანი, თვით ცხოვრებისაგან. თვით ქართველ ერის და მისს სამღვდელოების მეცადინეობით იქნებიან განხორციელებულნი ახლო მომავალში.

ჩვენ დანამდვილებით ვიცით, რომ ოქტომბრის კრების დადგენილებით უკმაყოფილონი არიან არა მარტო ი. გოგოლაურები, არამედ თვით ქალაქის „ნამდვილ რუსთა კავშირის“ ლიდერებიც, რომელთაც შემდეგი პროვოკაციული აფორიზმი გამოუთქვამთ ჩვენზე: „მთამ (ესეიგი ჩვენმა კრებამ თავგი შეაო“. ნეტავი როგორ გუნებაზე იქნებოდნენ დღეს ერთი მხრით გოგოლაური, მეორე მხრით „ნამდვილი რუსნი“, ჩვენ მთას რომ „ლომი“ ეშვა? ყოველ შემთხვევაში გახსოვდეთ, ბატონებო, რომ ზოგჯერ „თაგვსაც“ შეუძლიან ხოლმე მონადირეს-აგან თოკით დაბმული ლომი გაანთავისუფლოს. თავის პაწია, მაგრამ ბასრის კბილებით თავგი ფის გადაღრღნის ხოლმე საბედისწერო თოკს...*)

პოლიტიკური მოძრაობა და ლიტერატურა.

ჩვენს მწერლობას მომავალ წლის განმავლობაში შეფერხება დაეტყო, საზოგადო მოძრაობამ იმატა, აზრი განმტკიცდა, ხალხის მაჯის ცემას მეტი ძალა მიეცა და ამ ცვლილებამ გამოიწვია საგაზეთო მოღვაწეობის გაფურჩქნა და აყვავება. გაზეთს ამ ჟამად იმდენი მკითხველი ჰყავს, რამდენიც წინად წარმოუდგენელი იყო.

ამ გვარ პუბლიცისტიკის, დღიურ ვარამის აღნუსხვა-განმარტების და პოლიტიკურ საგნის გატაცებამ დაჩრდილა სრულიად არა თუ წიგნი ბელეტრისტიულ შინაარსისა, თვით ჟურნალიც ინაცვალა და აღარ აბოგინა. ეს მოვლენა შენიშნეს რუსეთში და ჩვენში ხომ თვალ საჩინოდ გამომზეადა. სალიტერატურო ჟურნალმა ვეღარ გაუძლო და მოისპო სიცოცხლე.

საყურადღებოა, რომ რეაქციონურს,—ალექსანდრე მესამეს დროს ორი ჟურნალი მოგვებოვებოდა. სიპიაგინის მინისტრობის ხანას ეკუთვნის აგრეთვე ორი ჟურნილის გამოცემა და ახლა კი აღარც ერთი ჟურნალი (გარდა საყმაწვილოსი) აღარ მოგვეპოვება. ეს მით სამწუხაროა, რომ მხოლოდ ჟურნალში შეიძლება მოზდილ საბელეტრისტო თხზულებათა მოქცევა და ამგვარ ნაწარმოებთა მიხედვით იზომება ლიტერატურის მოძრაობა და უკვდავ ნაღვაწთა განვითარება. უკანასკნელ ექვსი თვის განმავლობაში თითქმის სრულიად შესწყდა პოეტური შემოქმედება და ეს შელევა აღმაფრენისა, რომელიც ვერ ჰპოებს საზრდოს ჩვენ აწინდელ ცხოვრების დასასურათებლად, უნდა ჩაითვალოს დიდს დანაკლისად განვითარების ისტორიაში. („მეგობარი“)

*) რამდენად საფუძვლიანია მგელთაგანის პასუხი გოგოლაურის შენიშვნაზე მკითხველისათვის მიგვინდია. ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ ეს პასუხი არ აქარწყლებს გოგოლაურის ყველა გამოთქმულ აზრებს.

რედ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ამბები და შენიშვნები.

** რუსეთიდან უკვე ჩამოვიდა საქ. სასინოდო კანტორის ახალი პროკურორი პრავდინი,

** ხელმწიფე იმპერატორმა ბრძანება გამოსცა: ხაზინის შევიწროებულ მდგომარეობისა გამო პერიოდიული საჩუქრის და შემწეობის ხელ-ახალი წარდგენა იმ პირთათვის, რომელთ ამგვარის მისაღები ვადა 1907 წლის 31 დეკემბერს უთავდებათ, აკვეთეთო. 1906—7 წელს მხოლოდ ორი წლის ვადით შეიძლება ახალ პირთა წარდგენა, მაგრამ მიიღებენ შემწეობად მხოლოდ ჯამაგირის ნახევარს. ქვრივ-ობოლთა დახმარების თაობაზედაც შეიძლება ახალი თხოვნა, მხოლოდ ბევრი არ უნდა ითხოვონო.

** „ტაიმსი“ იუწყება ტოკიოდან, რომ მანჯურიიდან და კორეიდან დაბრუნებულ ჯარებიდან 6 ახალი დივიზია შეადგინეს. ამნაირად ჯარი 50% გადიდდა. სამხედრო მინისტრის პროგრამმამ კაბინეტში სჯაბაასი გამოიწვია. სამხედრო მინისტრმა განაცხადა, რომ მშვიდობიანობა მხოლოდ იმ შემთხვევაში დამყარდება, თუ საშიშ სახელმწიფოდ გადავიქცევითო. თუ პროგრამმა განხორციელდა, მაშინ იაპონიას შეეძლება ომის დროს 750,000 ჯარის კაცი გამოიყვანოსო.

** ქუთაისის გენერალ-გუბერნატორის განკარგულებით, არხანგელსკის გუბერნიაში იგზავნება კორბოულის ეკკლესიის მღვდელი ვლ. მაჭარაშვილი. მიზეზი სულ უმნიშვნელო რამეა. 10 ოქ. ვიღაცას კორბოულის ეკკლესიის კედელზე პროკლამაცია მიეკრა. ბოქაულმა ალხაზაშვილმა ოქმი შეადგინა. ამის გამო 20 ნოემბერს მაჭარაშვილი დაიჭირეს-და ქუთაისში ჩაიყვანეს.

** გაზ. „ტავარიშჩ“-ში დაბეჭდილია წერილი ქ-ნ ბეზროდნაიასი გადასახლებულთა შესახებ. ავტორი სწერს, რომ ხოლმოგორში დასახლებულია 40 პოლიტიკური ტუსაღი, რომელთაც წერა-კითხვა მხოლოდ ქართულად იციანო. იქვე არიან ლატიშები. ქ-ნი ბეზროდნაია სთხოვს ქართველებსა და ლატიშებს, შესწირონ ამ პოლიტიკურ ტუსაღებისათვის წიგნები და გაზეთები. აი, ადრესიც: Петербургъ; Г. подьяческая, 18. кв. 23, Ю. Безродная.

** რუსულ გაზეთების სიტყვით, პეტერბურგში საჩქაროდ დაუბარებიათ სოხუმის ეპისკოპოსი კირიონი. საქმე საქართველოს ეკკლესიის ავტოკეფალიის შესახებაა.

** ტფ. გუბერნატორმა ბარონ-ფონ-რაუშ-ტრაუნბერგმა სამსახურს თავი დაანება. გუბერნიის მართვას 28 ნოემბრიდან შეუდგა ვიცე-გუბერნატორი ჩერნიავსკი.

** ყველა, ვინც კი შეიარაღებული გაივლის ან მატარებლით წავა იმ ადგილებში, რომელიც ამიერ-კავკასიის რკინის გზის რაიონს ეკუთვნის, შეპყრობილი იქნება, გინდაც იარაღის ტარების ნებაც ჰქონდეთ, არ შეიპყრობენ მხოლოდ იმათ, ვისაც იარაღის ტარების ნება-რთვა რკინის გზის უფროსის ნეიგებაუერისაგან ექნება.

** როგორც გავიგეთ, კვირას, 10 დეკემბერს, აკაკი წერეთლის რედაქტორობით გამოვა ახალი საოხუნჯო ჟურნალი „ხუმარა“

** კვირას, 3 დეკემბერს, საბჭოს დარბაზში ბ-ნმა მოსენზონმა წაიკითხა მეორე ლექცია. ლექტორმა ებრაელთა ისტორიიდან მოიყვანა ერთი ხანა, მაკიაველების დრო და აღნიშნა როგორ იბრძოდნენ ებრაელები თავისუფლებისათვის. და შემდეგ განაცხადა: ებრაელები, მიუხედავად მრავალის ტანჯვისა და შეწუხება-შევიწროებისა, დღევანდლამდე არსებობენ. წარსული თავდებია, რომ ეს ერი იცოცხლებს. საჭიროა მივაშუროთ ჩვენს სამშობლოს, პალესტინას, იქ აღვადგინოთ ჩვენი ერთობა და შევქმნათ ცხოვრება თავისუფალიო.

** ადმირალ ნებოგატოვის დამცველმა სასამართლოს სთხოვა, გამოაქვეყნეთ ადმირალ ნესსერის 1897 წლის მოხსენება ჯავშნიან გემის „ადმირალი სენიავინი“-ს „აპრაკსინი“-ს „უშაკოვი“-ს და კრეისერ „ვლადიმირ მონომახ-ს“. ავ-კარგიანობის შესახებ და აგრეთვე საზღვაო მინისტრის ბირილევის წერილები მესამე ესკადრის მდგომარეობაზეო, მაგრამ სასამართლომ ამაზე უარი უთხრა.

** მთავრობის კანონ-პროექტი საეკკლესიო საკითხის შესახებ კათოლიკებს ღვთის-მსახურების შესრულების ნებას აძლევს, მხოლოდ იმ პირობით, თუ დაცული იქნება 1881 და 1901 წლის კანონები კრებების შესახებ. საეკკლესიო ქონების გადაცემის შეცვლილია. მღვდლები პენსიას იმ შემთხვევაში არ მიიღებენ, თუ კანონს არ დაემორ-

ჩილებიან. პარიჟის მთავარ-ეპისკოპოსს ჯერ არ მიუღია ბრძანება თავის სასახლიდან გავიდეს.

*** ეკლესიის სახელმწიფოსაგან განშორების კანონის განხორციელების დროს ალაგ-ალაგ მთავრობის მოხელეების წინააღმდეგ დემონსტრაცია მოხდა: ნანსში ხალხმა ოქმის შედგენას ხელი შეუშალა; ლიონში ხალხი მთავარ-ეპისკოპოსს კარდინალ მოპელიეს გამოექომაგა; არაგოსში, როცა ეპისკოპოსი სახლიდან გაეძევეს, ხალხმა მხარე დაუჭირა, მაგრამ ჟანდარმებმა შეაჩერეს. ხალხმა ბარიკადებით გამაგრებული სემინარიის კარები გაარღვია, რის შემდეგაც ჯარის კაცებმა სემინარიელები თითო-თითოდ გამოიყვანეს.

*** რიგის დიდ ქუჩაში პოლიციამ დაუპატიმრა უცნობი კაცი, რომელსაც რევოლვერი და რევოლიუციონურ კომიტეტისაგან ხელმოწერილი და ბეჭედ დასმული წერილი აღმოაჩნდა. წერილში ეწერა, რომ ამ წერილის წარმომადგენელი კომიტეტის კასირია და ვინც ფულს არ მისცემს, სიკვდილით დაისჯებაო.

*** მინისტრთა საბჭომ იუსტიციის მინისტრის მოხსენების თანახმად, ძირითად კანონის მე 87 მუხლის ძალით მიიღო შემდეგი წესი: 2. ვინც დანაშაულის ჩადენა წერილობით, ან სიტყვიერად ქებას შეასხამს, ან ასეთ ქებას დაბეჭდავს და გასაყიდად გამოაფენს, იმას 8-თვემდე სატუსაღო მიესაჯება, ან 500 მანეთამდე ჯარიმა გადახდება; ასეთი საქმეები ოლქის სასამართლოებმა უნდა გაარჩიონ.

*** ადმირალი დუბასოვი ჩვეულებრივ სეირნობის დროს ტავრიდის სახლში შეკიდა სამი უცნობი. ორი სკამზე ჩამოჯდა, და მესამე (ალბად ადმირალს თვალ-ყურს ადევნებდა) პაპიროსით ხელში გორაკზე ავიდა და როცა ადმირალს დაუპირდაპირდა, რევოლვერი ესროლა. მაგრამ ააცდინა. სანამ »ოხრანნი“ განყოფილების ოთხი აგენტი მიირბენდა (ისინი თან ახლდნენ ადმირალს და შორი-ახლო მისდევდნენ), დანაჩენებმა ბრაუნინგების სროლა ასტეხეს, ამასთან ადმირალს ფეხში ყუმბარა ესროლეს, რომელიც აფეთქდა და ადმირალი ფეხში გაკაწრა. აგენტებმა ერთი კაცი დაიჭირეს. მეორე და მესამე გაიქცნენ, თან რეოლვერებს ვსროდნენ, ყუმბარაც გადაგდეს, რომელიც სუსტად აფეთქდა. დაიჭირეს მეორეც, მესამე კი გაიქცა. დაჭერილნი ახალგაზდები არიან, 19—20 წლისანი, ერთი ქერაა—გრძელ თმიანი, მეორე შავგრემანი. მეორეს გაჩხრეკის დროს 12 პატრონა უპოვნეს. საცვლებზედ ნიშნები ორთავეს ამოეკერილი აღმოაჩნდათ. დაჭერილნი „ოხრანნი» განყოფილებაში გაგზავნეს, მაგრამ ისინი თავიანთ ვინაობის გამომჟღავნებაზე უარს ამბობენ. ადმირალი სახლში სხვის დაუხმარებლად წავიდა. გადარჩენა დიდკაცობამ მიულოცა.

*** **მდგდლის ზ. მაჭარაშვილის რუსეთში გადასახლების საქმე.** პოლიციის მოქაულმი ალხაზიშვილმა რალაცა დანაშაულობისათვის მღვდელი ზ. მაჭარაშვილი გუბერნატორს წარუდგინა და გუბერნატორმა არხანგელის გუბერნიაში გადასახლება გადაუწყვიტა. მღვდელმა მაჭარაშვილმა გუბერნატორს სთხოვა, რომ გამოძიება დაენიშნა და ასე უდანაშაულოდ არ დასჯილიყო. გუბერნატორს სასტიკი გამოძიება დაუნიშნავს. გამოსაძიებლად მოვიდა კორბოულში ჟანდარმის ოფიცერი და მთელი მრევლი დაიბარა. მთელმა მრევლმა ახსნა, რომ იგი პატიოსანი მღვდელია და საყვარელი მოძღვარი მრევლისათვისო. მღვდელი მაჭარაშვილის დამნაშაობა ბოქაულს იმაში დაუნახავს, რომ ამ მღვდლის ეკკლესიის გვერდზე მის მტერს ვიბორგის მოწოდება მიუკრავს და პოლიციისათვისაც ეს ყოფილა საკმარისი, რომ გადაესახლებიათ იგი. მღვდელმა მაჭარაშვილმა როგორ უნდა გაიგოს როცა მისი მტერი ღამე ეკკლესიის კედელს რალაცა ქაღალდს მიაკრავს? აი რა სისაძაგლეს ჩადიან ჩვენში, რომ თავიანთი მოწინააღმდეგენი დაღუპონ... ქება და დიდება ამ მღვდლის მრევლს, რომ თავის მოძღვარს გამოქომაგებია და განუმარტებიათ ჟანდარმის ოფიცრისათვის თუ როგორ მოუხერხეს ეს საქმე მაჭარაშვილ მღვდელს მისმა მტრებმა.

*** გაზეთების ამბები, ვითომ ნამსტნიკი პეტერბურგს წავიდაო ტყუილია. ნამსტნიკი ბათუმში ყოფილა და თფილისში დაბრუნებულა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმზნეობაზე.

უფლის ლოცვა.

მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!

ეს ლოცვა იწოდება უფლის ლოცვად ამიტომ, რომ იგი წარმოუთქვა თვით უფალმა, იესო ქრისტემ თვის მოწაფეთა და ასწავლა მათ, აგრეთვე საზოგადოდ ქრისტიანეთა, ამ სახით ლოცვა. ეს ლოცვა უმაღლესი და უმშვენიერესია ყოველთა ლოცვათა, რომელნიცა შედგენილნი არიან შემდეგში წმიდათა მამათაგან და რომელთაცა ხმარობს წ. ეკკლესია ღვთის-მსახურებაში. ეს ლოცვები დამოკიდებულნი არიან უფლის ლოცვაზე, როგორც შენობა საფუძველზე. ამიტომ უფლის ლოცვა არის ლოცვათა ლოცვა, როგორც აღდგომა ქრისტესი არის დღესასწაული დღესასწაულთა, ძღვენა ძღვენათა.

უფლის ლოცვაში მოკლედ და ცხადად არის გამოხატული ის უმაღლესი ქეშმარიტება, ვინ და ვითარი არის ღმერთი მორწმუნე ადამიანისათვის. მოწოდება: „მამაო ჩვენო"! არის დიდი ნუგეში და ბედნიერება საწყალი ცოდვილი ადამიანისთვის. იერო ქრისტეს ზეციერის სწავლით ღმერთი არის არა მხოლოდ შემოქმედი ქვეყნისა კაცისა, იგი არის მამა ყოველი იმ ადამიანისა, რომელსაც გონებით, გულით და ნებით სწამს იესო ქრისტეს ძედ ღვთისად. ამიტომ მხოლოდ ქეშმარიტ ქრისტიანეს აქვს ნება, რომ კაცნიერებით და დაუსჯელად მიმართოს ღმერთსა და უწოდოს მას თვის მამად. მრავლობით რიცხვით ხმარებული სიტყვას: „ჩვენო" აქვს ის დიდი მნიშვნელობა, რომ ქრისტიანე უნდა სთხოვდეს მამა-ღმერთსა ზეციერთა და ქვეყნიერთა კეთილთა როგორც თავისთვის, ისე მოყვასთათვის. ამით მარცხდება ადამიანის ბუნებაში ის თავის-მოყვარეობა, რომელიც სხვისთვის უსარგებლო და დიდად მავნებელია. ამ სახით, ქრისტიანენი უნდა სოხოვდნენ მამა-ღმერთსა, როგორც ღმერთსა სიყვარულისასა, ყოველსა კეთილსა, მხოლოდ კეთილსა: მშობელნი შვილთათვის. შვილნი მშობელთათვის, მეუღლენი ურთიერთთათვის, ნათესავნი ნათესავთათვის, მეგობარნი მეგობართათვის. სისრულე და სიწმიდე ქრისტიანული სიყვარულისა მოითხოვს, რომ ქრისტიანემ ითხოვოს კეთილი საზოგადოდ ყოველთა ადამიანთათვის.

ცხოვრება ღვთისა არის უზენაესი წესისა, რომელსაც ადამიანის გონება ვერ მიჰწვდება,— ღვთის მოკმედება ვერ გაიზომება ადამიანური ცხოვრების ადლითა. ადამიანის მოკალეობა არის, რომ მიმართოს ღმერთსა ვედრებითა და ცრემლითა, ხოლო ღვთის ნება არის, როდის და რა სახით გამოუცხადოს ადამიანსა თვისი წყალობა, ნიშანი ვედრების მიღებისა. ღმერთი არის საზოგადო სასო ყოველთა კიდეთა ქვეყანისათა, არის მზრუნველი ყოველგან, ყოველთა და ყოველისათვის. ხოლო განსაკუთრებით მაცხოვრების მზრუნველობას იგი უცხადებს ქრისტიანობასა. ქრისტიანობა არის საუნჯე ღვთის მადლისა და სიყვარულისა. ამიტომ მამა-ღმერთი, რომელიც დიდებით სუფევს ზეცათა დაუსრულებელ სივრცეში, იმავ დროს არს ყოველ მვედრებელ ქრისტიანესთან და ისმენს მის ვედრების ხმასა ყოველსა ადგილსა თვის ადგილისასა.

ისმენს მამა-ღერთი ხმასა თხოვნისასა, მადლობისასა და დიდებისასა. ისმენს იგი ქრისტიანეს მოწოდებასა, დუმილით თუ ხმით იქმნება იგი. ისმენს თვით ადამიანის გულში, როდესაც ეს გული ინანებს და იზიზღებს იმ ბიწიერებათა, რომელნიცა ესოდენ ამცირებენ ქრისტიანე—კაცის ღირსებასა. როგორც ღვთის მიმადლებული შვალისასა. ისმენს ტაძარში, სადაც ქრისტიანეთა კრება, ერთითა პირითა და ერთითა გულითა, ევედრება, ადიდებს და მადლობს ღმერთსა. ისმენს სახლში, სადაც ქრისტიანე სახლობითი, ანუ მარტო ერთი, მიმართავს ღმერთსა —მამასა. ისმენს უდაბნოში, მთაში და ტყეში, ზღვათა შინაცა შორს, სადაც გარეგანი ბუნება, თვის სივრცითა და მშვენიერებითა, აღძრავს ადამიანის გრძნობათა ღვთის სადიდებელად. ისმენს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მინდვრად და ველად, სადაც ადამიანი ღვრის შრომის ოფლსა. ისმენს სალმობიერ სარეცელზედაცა, სადაც უძლურება ადამიანის გვამისა, გუშინ ყვავილოვანისა, დღეს გამომწვევს სიბრალულის გრძნობასა... ისმენს მამა-ღმერთი საწყალი ადამიანის ხმასა ყოველ დროს: განთიად და მწუხრით, შუა დღეს და შუა ღამეს, — ჟამსა ჭაბუკობისასა, ვაჟკაცობისასა და სიბერისასა. ისმენს ხმას როგორც მდიდრისასა, ისე გლახაკისასა; როგორც ბატონისასა, ისე მსახურისასა; ისე ცოდვილისასა.

ის ფრიად სასიხარულო და სანუგეშო ჭეშმარიტება, თუ როგორ ისმენს მამა-ღმერთი ცოდვილი ქრისტიანეს შენანების ხმასა, თვით იესო ქრისტემ გამოხატა შემდეგი იგავითა.

ერთს რომელსამე კაცსა ჰყვანდა ორი ვაჟი შვილი. უმცროსმა მათგანმა უთხრა მამასა: „მამაო, მომეცი მე ჩემი წილი ქონებისა." მამამაც გაუყო მათ ქონება. შემდეგ რამდენიმე დღისა უმცროსი შვილი აიბარგა და წავიდა შორეულ ქვეყანას და იქ გაფლანგა თვისი ქონება გარყვნილებაში. იმ ქვეყანას ეწია დიდი შიმშილი და იგი ჩავარდა გაჭირვებაში. წავიდა და მიადგა იმ ქვეყნის ერთს მცხოვრებს. მან გაგზავნა იგი მინდორში ღორების საძოვრად. იგი მოხარული იყო, რომ გაეძღო კუჭი რკოთი, რომელსაც სჭამდნენ ღორები, მაგრამ ამასაც არ აძლევდნენ მას. შევიდა იგი თვით შეგნებაში და სთქვა: „რამდენი მოჯამაგირე ძღება პურითა ჩემი მამის სახლში, მე კი აქ შიმშილით ვკვდები! ავდგები, წავალ ჩემს მამასთან და ვეტყვი მას: „მამაო, შევცოდე მე შენს წინაშე და ღირსი არა ვარ ვიწოდო მე შენს შვილად, მიმიღე მე შენ მოჯამაგირეთა რიცხვში." ასდგა და წავიდა თავის მამასთან. როდესაც იგი ჯერ კიდევ შორს იყო, დაინახა იგი მამამ და შეეცოდა იგი, გაიქცა მამა, მოეხვია შვილს კისერზე და დაჰკოცნა იგი. ხოლო შვილმა უთხრა მამასა: „მამაო, შევცოდე მე შენს წინაშე და ღირსი აღარა ვარ ვიწოდო შენს შვილად"—მამამ უთხრა თვის მსახურთა: „იმოიტანეთ უმჯობესი ტანთ-საცმელი, შემოსეთ იგი, შემოაცვით მას ბეჭედი ხელზე და ფეხთ ჩააცვით; მოიყვანეთ გამოკვებილი ზვარაკი და დაკალით: ვსჭამოთ და გავიხაროთ, რადგანაც ეს ჩემი შვილი მკვდარი იყო და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და აღმოჩნდა."—დაიწყეს ლხინი. ხოლო უფროსი შვილი იყო მინდორში; როდესაც დაბრუნდა და დაუახლოვდა სახლსა, შეესმა გალობა ლხინისა, მოუწოდა ერთს მსახურთაგანსა და ჰკითხა: „ეს რა არის?" —მსახურმა უთხრა მას: „შენი ძმა მოვიდა, შენმა მამამ დაუკლა გამოკვებილი ზვარაკი, რადგანაც მიიღო იგი სიმრთელით." უფროსი შვილი გაწყრა და არ უნდოდა სახლში შესვლა, ხოლო მამა გამოვიდა და მოუწოდა მას. მან უპასუხა მამასა: „აგერ მე რამთონიმე წელი გემსახურები შენ და არას დროს არ გადავსულვარ შენ ბრძანებასა. მაგრამ შენ კი არაოდეს არ მომეც მე თიკანიცა, რომ მელხინა ჩემ მეგობრებთან; ხოლო როდესაც მოვიდა ეს შენი შვილი, განმფლანგავი თვის ქონებისა სიმრუშეში, შენ დაუკალ მას გამოკვებილი ზვარაკი." მამამ უთხრა მას. „ჩემო შვილო.! შენ ყოველთვის ჩემთანა ხარ და ყოველი ჩემი შენი არის, ხოლო მისთვის უნდა გვეხარნა და გველხინა, რომ ეს შენი ძმა იყო მკვდარი და გაცოცხლდა, დაკარგული იყო და აღმოჩნდა."

ეს იგავი, რომელიც წარმოგვიდგენს ხორციელ ცხოვრების სურათსა, გვიხატავს ჩვენ მამა-ღმერთის სიყვარულსა, რომელსაც იგი უცხადებს ყოველ ცოდვილ ქრისტიანესა, თვის ცოდვათა შემნანებელსა, ბოროტების შორეულის გზიდგან გამობრუნებულსა. ცოდვილი ქრისტიანე სინანულით უახლოვდება მამა-ღმერთსა ხოლო რადგანაც იესოქრისტე, ძე-ღვთისა, არის სულიერი ზვარაკი, ცოდვილ ადამიანთათვის ჯვარზედ დაკლული, ამიტომ მის სისხლისა და ხორცის ზიარებითა ცოდვილი ქრისტიანე სულიერად უერთდება ღვთაების ბუნებასა და მით შეიქმნება თანამოზიარი იმ ღვთაებრივი ნეტარებისა, რომელიც არის დაუსრულებელი ლხინი სიხარულისა.

ასეთია შედეგი მამა-ღმერთის მოწოდებისა, — შედეგი ქრისტეს მიერ მონიჭებული მაცხოვრებისა! ამ სანუგეშო ჭეშმარიტების შეთვისება შეიძლება მხოლოდ ადამიანის უმაღლესი თვითშეგნებითა, ხოლო ამ თვითშეგნების მოპოვება უნდა ჯეროვანი ზიარებითა იმ მშვენიერი ნიჭიერებისა, რომლითაც შემკულია შემოქმედისგან ადამიანის ბუნება...

ი. ბაღუევი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ს ი ტ ყ ვ ა.

თქმული 10 გიორგობის-თვეს, 1906 წ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში.

> რქვა უფალმან თვისთა მოწაფეთა: უკეთუ მე მდევნეს, თქვენცა გდევნენ. (იოან. 15, 20).

წმ. მთავარ-მოწამე გიორგი, რომლის სალოცავ-საეკლესიოდ და სადიდებლად ჩვენ შეკრებილვართ დღეს აქ, საყვარელნო, სცხოვრობდა და მოღვაწეობდა იმ ჟამსა და სიბნელით მოცულს დროს, რომელსაც ეწოდება: ხანა ქრისტიანეთა დევნისა. ყოველად შეუძლებელია აღწერა ამ ცხოვრებისა წამებულ-ტანჯულ ქრისტიანეთა ამ დროს განმავლობაში და წარმოიდგინოს სახე იმ ტანჯვა-წამებისა, რომელსაც მიმართავდნენ ხოლმე მათ გასანადგურებლად! მერე რისთვის, რა დანაშაული მიუძღოდათ ქრისტიანთ ქვეყნის წინაშე, ვის რა ზიანი მიაყენეს, ან რა გაუფუჭეს, რომ სდევნიდნენ მათ ასე მკაცრად? ქრისტიანებმა დაიშავეს ის, რომ იგინი აღიარებდნენ ქრისტეს სწავლას და ჰქადაგებდნენ სახარებასა სასუფეველისასა (ესაია. 4, 23); მათ გაფუჭეს ის, რომ მოისურვეს კაცობრიობის ცხოვრების ახალ საფუძველზედ დამყარება, (I იოან. 3, 10—18); მათ ის ზიანი მიაყენეს ქვეყანას, რომ მოინდომეს კაცთა შორის ჭეშმარიტების (იოან. 13, 34) გავრცელება; მათ ის გააფუჭეს, რომ სიტყვით და საქმით ღალადებდნენ: იყვარებდეთ ურთი-ერთარს: (I იოან. 15, 17). მართალია, ყოველივე ეს წამება—ტანჯვა საბუთი არ არის, და ამისათვის დევნა ექნება გაგიკვირდესთ კიდეც, მაგრამ წმ. გიორგის ეანა მედროვეთათვის აქ საკვირველი არა იყო-რა, ინაიდგან იმ დროინდელ ცხოვრების წეს-წყობილების საფუძველად აღსარებული იყო არა ურთიერთარს იყვარული, რასაც ჰქადაგებდნენ ქრისტიანენი, რამედ უზომო და განუსაზღვრელი თავმოყვარეობა. ავმოყვარეობით გამსჭვალულს და ფუფუნებით ანლაღებულს რომის უმაღლესსაზოგადოებას მთელი კაცობრიობა გაეყო ორ ბანაკად: ერთს ბანაკს ეადგენდნენ თავისუფლებით და ყოველივე უპირატესობით აღჭურვილნი რომის მოქალაქენი, ხოლო ორეს—ყოველსავე უფლებას მოკლებულნი მონა-ბარბაროსნი. თავისუფალთ რომაელთა წარმოდგენით, პირველნი იყვნენ გაჩენილნი ფუფუნებისა და მბრძანებლობისათვის, ხოლო მეორენი პირველთა ბრძანებისა და სურვილის აღსრულებისათვის. რაც უნდა ტანჯვა, მწუხარება და დამცირება დასდგომოდა უკანასკნელთ,—ეს სულ ერთი იყო პირველთათვის: არა თავისუფალს რომის მოქალაქეს არა ქონდა ნება თავისი გრძნობა გამოემჟღავნებინა, ვინაიდგან იგი არ იყო შერაცხილი პიროვნებად, არ იყო სრულის უფლებით მოსილი კაცი, არამედ იყო მონა—ნივთი და ბარბაროსი. ამ რიგზედ მოწყობილი ცხოვრება იმდენად მტკიცე და შეურყეველს საფუძველზედ დამყარებულად მიჩნდათ მაშინ, რომ სხვა ნაირი მოქალაქობა ვერც-კი წარმოედგინათ: თვით უგანათლებულესნი მეცნიერნი და ფილოსოფოსნი, რომელნიც იტეოდეს თავთა თვისთა ბრძენ—ეგზმარიტად—კანტოფენს (რომ. 1, 22) და ამართლებდნენ, ამაგრებდნენ და ხელს უწყობდნენ ამგვარს ცხოვრების წეს-წყობილებას. რომის წარჩინებული საზოგადოებაც სარგებლობდა ამით და განაგრძობდა უზრნველს და უდარდელს ცხოვრებას: სჭამდეს და სმიდეს, აქოროწინებდეს და ქანქორწინებდეს, ვითარცა დდეთა მთა შინა ბერგულ წყალთა-ღრეანისა (მათ. 24, 38).

სწორედ ამ დროს, უეცრად და რომელთა მიერ მოულოდნელად, განსდა ეოველსა ქვეყანასა სმა-ციოო ტკბილის მცნებათა მქადაგებელთა და კიდეთ ქვეყანასა სიტყვანი მათნი (ფსალ. 18, 4) უცნაურნი, რომაელთათვის გაუგებარნი, გაისმა მზისა ადმოსავლით მომავალი წარმართთა რამე სასულელე (1 კორ. 1, 23): ანა ანს ურიაკნა, ანცა წარმართნა; ანა ანს მონნა, ანცა ანზნაურნა: რამეთუ თქვენ ეოველნი ერთ ხართ ქრისტეს იესოს მიერ (გალ. 3, 28) და ეს ერომაელთათვის გაუგებარი სასულელე და უცხო სმა, არამც-თუ გაისმა; არამედ ცხოვრებაშიაც გზა გაიკვლია: ტვირთ მძიმენი და მაშვრალნი სიხარულით მიეგებნენ მას და სიამოვნებით ადიდეს უდელი ქრისტესი, ვინაიდგან უღელი იგი უჩნდათ ტკბილად და ტვირთი უფლისა სუბუქად (მათ. 11, 29 - 30). ხოლო ძლიერთა ამა ქვეყნისათა სმა ესე იუცხოვეს, არ შეისმინეს და ვერც შეისმენდნენ, რადგანაც ეს უცხო მოძღვრება სავსებით ეწინააღმდეგებოდა მათ რწმენას და მსოფლიო მხედველობას, იგი სხვათა შორის ჰქადაგებდა, რომ ადამიანის პირველი მოვალეობაა შრომა, მუშაობა (შექმნათა 2, 15; 3, 19) და

არა უსაქმობა და განცხრომა, რომ მხოლოდ მუშაკი არს დირსი სასუდლისა, საზრდელისა (მათ. 10, 10) და თუ ვისმეს შრომა ვერ ეხერხება, ეზარება ან და არ უნდეს საქმის,—იგი ნუცა სჭამნ (2 თესალ. 3, 8-10). ამასთანავე ეს სწავლა პირ-და-პირ ჰქადაგებდა, რომ მონა, ეს იმდროინდელის წარმოდგენით, ოჯახისათვის ფრიად საჭირო პირტყვი, აღარ უნდა ითვლებოდეს მონად, არამედ უფროს მონისა—სუფევრად ძმად, ხორცეულადცა და უფლისა მიერცა (ფილმ. 16). გარდა ამისა, ეს უცნაური მოძღვრება დიდებულ რომის მოქალაქის უფლებას მონათა შესახებ უპირებდა შეზღუდვას და უფლებით შემოსილ მეპატრონეს ავალებდა სამართლისა და სწორისა მიტევმად მონათა და თანაც დასძენდა: უწყოდეთ რამეთუ თქვენცა, ესე იგი ქვეყნის პატრონს და ბატონს რომაელს, უფალიეე კეთილ ცათა შინა (კოლ. 4, 1). თუმცა მართალი იყო ისიც, რომ ეს ახალი მოძღვრება არა ვითარი ძალ-მომრეობის ჩადენას არ ურჩევდა თავის აღმსარებელთ და პირ-იქით ასწავლიდა, რომ მონანი ერჩდთ ხორცეულთა უფალთა თქვენთა სიწრფოებითა გულისა თქვენისთა, ვითარცა ქრისტესა (1 თეს. 6, 5), ნუ ხოდა სახეერთა და ტკბილთა, არამედ უსახურთაცა (1 პეტრ. 2 18) და ჯერ-არს დამორჩილებაჲ არა ხოდა რისხვისათვის, არამედ გონებისათვისცა (რომ. 13, 5), მაგრამ რომაელ-ბერძენი მაინც ვერ შეურიგდებოდა ქრისტიანობას, ვინაიდგან მან ყოველივე ადამიანი, მონაც და ბარბაროსიც-კი, აღიარა სრულს კაცად, პიროვნებად და ძედ ღვთისა და ამ სახით გაასწორა მთა და ბარი, ერთ-ჰყო ყოველნი ქრისტეს იესუს მიერ. ამ ერთ-ყოფას კი, ადვილად შესაძლებელი იყო, გამოეღო რომის მოქალაქისათვის არა სასურველი ნაყოფი, რადგანაც შეიძლებოდა მომხდარიყო, რომ ამ ახლად მოვლინებულ ძმის ხორცეულადცა და უფლისა მიერ, რომელიც ემორჩილებოდა თავის პატრონს მხოლოდ ქრისტე იესუს მიერ, ერთ უკუღმართს დღეს მოეხსენებინა თავის პატრონისათვის, რომ იგი, ბატონის საკუთრება—მონა, არის ძე ღვთისა, მოსეიდული სისხლითა უფლისათა (განცხ. იოან. 5, 9) და ამისათვის ვერ იკისრებს ბატონის ისეთის ბრძანების შესრულებას, რომელიც ამცირებს ადამიანისა და ქრისტიანის ღირსებას, და ამასთანავე, იქნება, გაკადნიერებულიყო კიდეც, და თავი ემართლებინა მით, ჯერ-არს დმრთისა უფროს, ვიდრე კეთა (საქ. მოც. 5, 29). ამისთანა მოძღვრებას კი ადგილი არ უნდა ჰქონოდა დიდებულ რომის იმპერიაში, ვინაიგან იგი აღაშფოთებდა სულიერს სიმშვიდეს რომის მოქალაქისას და საშიში იყო არსებულ წეს-წყობილებისათვის; ამის გამო საჭირო და საშური იყო მისი ჩაქრობა, მოსპობა, განადგურება.

სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ წარმართებმა გამოიდო თავი და გაიღაშქრა ქრისტიანობის წინააღმდეგ, გამოუცხადა მას ომი, ომი ულმობელი უმაგალითო, საზიზღარი და საშინელი, და მიიწვია თანაშემწედ აღზნებული ცეცხლი, ადუღებული კუპრი, დაუქრობელი კირი, გახურებული შანთი, ლურსმით შეჭედილი ურმის თვალი, ბასრი მახვილი, მოწამლული ისარი, ჯვარი, საპყრობილე. ჯურღმული, დამშეული მხეცები და მრავალი სხვა მათი მსგავსი. ამ უმაგალითო ბრძოლის დროს აშკარად დაუპირდაპირდნენ ერთმანეთს ძლიერნი და უძლურნი, მდიდარნი და გლახაკნი, ურწმუნონი და მორწმუნენი, ძველის მოძღვრების და ძალ-მომრეობის მომხრენი და ახალის მცნების და მტრისადმი სიყვარულით გამსჭვალულნი, წარმართნი და ქრისტიანნი... მთელმა სამასმა წელმა განვლო ამ ბრძოლის დასრულებამდე და ამ საუკუნეთა მიმდინარეობაში შეწირულ იქმნა უანგარო მსხვერპლი, მსხვერპლი უმანკო, უდანაშაულო, აღარ იყო გაოჩევა დიდსა და პატარას შორის, ქალსა და კაცსა შორის, ვერავითარი ღირსება, დამსახურება და მდგომარეობა ვერ იხსნიდა ქრისტიანს ტანჯვისაგან,—მაგრამ ფაცხელ ჯარ ჯაცისათვის წინაშეადგენისა (საქ. მო�. 9, 5), შეუძლებელ ჯარ ჭეშმარიტების დათრგუნვა და მზის სინათლის ჩაქრობა,—ვერავითარმა საშუალებამ ვერ შეაყენა ქრისტიანობის გავრცელება: ყოველივე წვეთი ქრისტიანთა დათხეული სისხლისა გარდაიქცა თესლად, რომელმაც აღმოაცენა ერთის მაგიერ ათი და ასი ქრისტეს მორწმუნე. რაც უფრო სასტიკად ეჭიკეოდნენ ქრისტიანთ, მით უფრო ვრცელდებოდა სჯული უფლისა, თანა დამოწმებული დმრთისა სასწაულებითა, და ნიშნებითა ფერად-ფერადითა ძალთა (ებრ. 2, 4). ვრცელს რომის სახელმწიფოში იშვიათად თუ მოიპოვებოდა ისეთი ალაგი, საცა არ იდიდებოდა სახელი იესუსი; სოფლები, ქალაქები, ჭალაკები, ჯარის ბანაკები, ციხე-კოშკები, სამმართველოები და თვით სამეფო სასახლე სავსე იყო ქრისტეს მორწმუნეებით. ამის შემდეგ კი ქრისტიანობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევნა შეიქმნა უაზრო, და პირდაპირ მავნებელი თვით იმპერიის მთლიანობისათვის, მით უმეტეს, რომ საუკეთესო ნაწილი მოწინავე საზოგადოებისა, მხედრობისა და თვით სამეფო პალატის მოხიბლულ იქმნა ქრისტეს მცნებითა სიდიადით და ქრისტიანთა წმიდა და უმწიკლო ცხოვრებითა.

ეს კარგად შეიგნო მეფე დიოკლიტიანეს კარზედ აღზრდილმა და ქრისტიანთა ტანჯვა-წამების სურათის საკუთარის თვალით მნახველმა, მოციქულთა სწორმა კონსტანტინე მეფემ და 312 წელს გასცა ბძანება, რომლის ძალით ქრისტეს აღმსარებელთა დევნა შეწყვეტილ იქმნა და თვით ქრისტიანობა აღსარებულ იქმნა ნება დართულ სარწმუნოებად. ამის შემდეგ ერთბაშად შეიცვალა სანახაობა: ისინი, ვინც რამდენისამე წლის წინად ტანჯულ-წამებულნი იყვნენ ქრისტეს აღსარებისათვის, ამის შემდეგ შეიქმნენ საგნად თაყვანის-ცემისა და ლოცვა-ვედრებისა; მათ საფლავებზე, ვისი სახელების ხსენება წინად საშიში იყო, აღეგო მშენიერნი საყდარ-ტაძარნი და მათ კედელთა შორის გაისმა ტანჯულთა—წამებულთა სადიდებელად შეთხზულნი საგალობელნი; ის სწავლა-სიტყვანი, რომელთაც აქამომდე ყურსა ეტყოდნენ ბნელსა და სუნჯესა შინა იქადგა და წარმოითქვა ნათელსა შინა და ერდოთა ზედა (ლუკ. 12, 3)

ერთი ამ დროს ღვთის მიერ გაბრწყინვებულ—დიდებულთაგანი არის წმ. მთავარ მოწამე გიორგი კაპადუკიელი, ყოფილი მხედართ მთავარი დიოკლიტიანე მეფისა, რომლის ბრძანებითაც იგი წამებულ იქმნა ქრისტეს აღსარებისთვის 303 წელს ქ. ნიკომიდიას. თანაზმად წმიდანის ანდერძისა, წმ. სხეული მისი დაკრძალულ იქმნა მისი მსახურის მიერ პალესტინას, ქალაქს რამლაში, სადაც ღვთის მადლით შეიქმნა იგი წყაროდ სასწაულთა და კურნებათა. იმპერატორის კონსტანტინეს მეფობის დროს მორწმუნეთა მიერ აღშენებულ იქმნა პალესტინისავე ქალაქს ლიდას ანუ დიოსპოლისში, იერუსალიმის, მახლობლად, მშვენიერი ტაძარი წმ. სასწაულთ მომქმედი სხეული მისი, ხოლო თვით წმიდანი აღსარებულ იქმნა წმ. ეკკლესიის მიერ ტუფეთა განმთავისუფლებელად და მეფეთა უძლეველად წინა-მბრძოლად. (ოქროთა წმიდისა)

სწორედ ამის გამო შეიყვარა წმ. მთავარმოწამე თავიდანვე ქრისტეს მტრებთან მუდამ მებრძოლმა ჩვენმა ხალხმა და შეითვისა იგი უფროს ყოველთა უცხო წმიდათა. ხოლო ნიშნად სიყვარულისა და მის სადიდებლად ძველადანვე განაწესა, 23 აპრილსა და 3 ნოემბრის გარდა, 10 ნოემბერსაც ხსენება მისი, თვით ამ თვეს უწოდა გიორგობის თვე და აღაშენა 365 ტაძარი, მათ შორის წმ. ტაძარიც, რომლის საკურთხეველის წინ ჩვენ შეეკრებილვართ დღეს იმ აზრით, რომ ერთითა ხმითა და ერთითა გულითა მივმართოთ წმ. მთავარ მოწამეს ამ მცირე, მაგრამ ლმობიერებით და სიყვარულით სავსე ლოცვით: წმიდაო მთავარ-მოწამეო და დაგვიფარეთ შემოსილნო გიორგი ევედრე ღმერთსა ჩვენთვის. ამინ.

მღვდ. კ. ცინცაძე.

შ ი ნ ა ა ა რ ს ი.

სალიტერატურო განყოფილება: 1883 წ. 1 ოქტომბერი—1906 წ. 1 ოქტომბერი, რედაქციის აღსარება. დეკ. დ. ღამბაშიძის.—შიმშილობა რუსეთში.—ჩვენ „სიტყვიერ ცხოვარსა“. ბ-ნ ი. გოგოლაურს მგელთაგანის.—პოლიტიკური მოძრაობა და ლიტერატურა—ახალი ამბები და შენიშვნები.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და **კეთილ-ზნეობაზე:** უფლის ლოცვა, „მამაო ჩვენო, რომელი ხარ ცათა შინა!“ ი. ბალუეევის.—სიტყვა, თქმული 10 გიორგობისთვეს, 1906 წ. ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში, მღ. კ. ცინცაძის მიერ.

რედაქტორ-გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე, 30 ნოემბერი, 1906 წ.

სტამბა ჟურნალის „მწყემსი“-ს რედაქციისა (დეკ. დ. ბ. ღამბაშიძისა) ყვირილა საკუთარ სახლში.